

რეგისტრირებულია:

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს
რაიონის სასამართლოს მიერ
12 იანვარი, 1999 წ.
5ა/5-65 დადგენილებით

დამტკიცებულია:

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“
საერთო კრების მიერ ოქმი №1
5 იანვარი, 1999 წ.

ცვლილებები და დამატებები შეტანილია:

სს "საქართველოს საფონდო ბირჟის"
საერთო კრების მიერ:

1999 წ. 17 აპრილს;
1999 წ. 8 ივლისს;
1999 წ. 26 სექტემბერს;
1999 წ. 22 დეკემბერს;
2000 წ. 28 ივლისს;
2003 წ. 30 აპრილს;
2004 წ. 30 აპრილს;
2006 წ. 22 თებერვალს;
2007 წ. 31 მაისს;
2007 წ. 27 სექტემბერს;
2008 წ. 15 მაისს.

სააქციო საზოგადოება
„საქართველოს საფონდო ბირჟის“
წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი
2008 წ.

I. ზოგადი დებულებები

1.1. “საქართველოს საფონდო ბირჟა“ არის სააქციო საზოგადოება და მოქმედებს “მეწარმეთა შესახებ” და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად. მისი სრული სახელწოდებაა:

ქართულად – *სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა“;*

ინგლისურად – *Joint Stock Company “Georgian Stock Exchange“;*

მისი შემოკლებული სახელწოდებაა:

ქართულად – *სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“;*

ინგლისურად – *GSE.*

1.2. თავისი სტატუსით სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა“ (შემდგომში – ბირჟა) წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.

1.3. საფონდო ბირჟა წარმოადგენს თვითრეგულირებად ორგანიზაციას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

1.4. ბირჟის ადგილსამყოფელია: *თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზირი 74^ბ.*

1.5. სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

II. ბირჟის მიზნები და საქმიანობა

2.1. ბირჟის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო მექანიზმის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2.2 ბირჟის საქმიანობის საგანია:

- ა) ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება;
- ბ) ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობის ორგანიზება საბირჟო წესების და პროცედურების შესაბამისად;
- გ) საბირჟო ვაჭრობების შედეგების შესახებ და საფონდო ბაზართან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.
- დ) კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

2.3. ბირჟა შეიძლება იყოს ჩართული საფონდო ბირჟის საქმიანობაში (ძირითადი საქმიანობა), ამ ძირითადი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ სხვა დამხმარე საქმიანობებში, ძირითადი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო აქტივების ეფექტიანი გამოყენებისათვის გამიზნულ დამხმარე საქმიანობაში.

III. საწესდებო კაპიტალი და აქციები

3.1. ბირჟის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათას) ლარს.

3.2. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 3 000 000 (სამ მილიონ) ცალ აქციად, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 (ერთ მეასედ) ლარს.

IV. აქციონერები

4.1. ბირჟის აქციონერთა უფლება-მოვალეობანი რეგულირდება საქართველოს კანონით “მეწარმეთა შესახებ”, კანონმდებლობით ფასიანი ქაღალდების შესახებ და ამ წესდებით.

V. აქციონერთა საერთო კრება

5.1. ბირჟის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება. მორიგი საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში. შესაძლებელია მოწვეულ იქნეს რიგგარეშე კრებაც. კრების მოწვევა და ჩატარება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5.2. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია:

5.2.1. დაამტკიცოს ბირჟის წესდება და მასში შესატანი ცვლილებები;

5.2.2. მიიღოს გადაწყვეტილება ბირჟის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.2.3. დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში (მ.შ. აუდიტირებული წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება);

5.2.4. მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ. ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას – მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

- 5.2.5. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;
- 5.2.6. მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების, (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს ბირჟის აქტივების ღირებულების 25%-ზე მეტს უკანასკნელი აუდიტირებული წლიური ბალანსის მიხედვით;
- 5.2.7. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- 5.2.8. აირჩიოს აუდიტორი;
- 5.2.9. მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

VI. სამეთვალყურეო საბჭო

- 6.1. ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, რომელთაც აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 წლის ვადით.
- 6.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ბირჟის დირექტორი ან ბირჟის თანამშრომელი.
- 6.3. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.
- 6.4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გააკეთდეს წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი ერთი სხვა წევრით.
- 6.5. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე და წარმოდგენილ წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა ამ მუხლის 6.7.4 და 6.7.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა, რომელთა მისაღებად აუცილებელია დამსწრე და წარმოდგენილ წევრთა ხმების 3/4 მაინც.
- 6.6. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობებია:
 - 6.6.1. მიიღოს, უარყოს ან შეასწოროს “სს საქართველოს საფონდო ბირჟის ეთიკის კოდექსი”, “სს საქართველოს საფონდო ბირჟის ვაჭრობის წესები”, “სს საქართველოს საფონდო ბირჟის დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსი”, დებულება “სს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემაში და ლისტინგში დაშვების შესახებ”, დებულება “სს საქართველოს საფონდო ბირჟის წევრების შესახებ”, ბირჟის ძირითად საქმიანობასთან

დაკავშირებული გადასახდელები და ტარიფები, სხვა წესები ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად;

- 6.6.2. უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის, ბირჟის წესდების, შინაგანაწესის და ვაჭრობის წესების დაცვა;
- 6.6.3. მოახდინოს უფლებამოსილების დელეგირება ბირჟის დირექტორებზე, წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად;
- 6.6.4. განმარტოს ბირჟის ვაჭრობის წესები;
- 6.6.5. დანიშნოს და გაანთავისუფლოს ბირჟის გენერალური დირექტორი და დირექტორები, დადოს ან შეწყვიტოს მათთან სასამსახურო ხელშეკრულება;
- 6.6.6. დაამტკიცოს ბირჟის ორგანიზაციული სტრუქტურა და მასში ცვლილებები;
- 6.6.7. მიიღოს გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღებისა და წევრებისათვის წევრობის შეწყვეტის შესახებ;
- 6.6.8. მიიღოს გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვების შესახებ, ასევე ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნისა და დელისტინგის შესახებ;
- 6.6.9. კონტროლი გაუწიოს დირექტორების საქმიანობას;
- 6.6.10. მოითხოვოს დირექტორებისაგან ბირჟის საქმიანობის ანგარიში;
- 6.6.11. გააკონტროლოს და შეამოწმოს ბირჟის საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები;
- 6.6.12. მოიწვიოს ბირჟის აქციონერთა საერთო კრება, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
- 6.6.13. წარუდგინოს მოხსენება ბირჟის წლიური ანგარიშის შესახებ აქციონერთა საერთო კრებას;
- 6.6.14. აირჩიოს ბირჟის მოსმენის კომიტეტის მსახურლები და განსაზღვროს მათი კომპეტენცია.

6.7. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს:

- 6.7.1. საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შექენა და გასხვისება;
- 6.7.2. ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- 6.7.3. წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების აღება;
- 6.7.4. ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება ბირჟის აქტივების 5%-ს ან კაპიტალის 10%-ს უკანასკნელი აუდიტირებული წლიური ბალანსის მიხედვით. დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;

- 6.7.5. დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;
- 6.7.6. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- 6.7.7. სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- 6.7.8. ბირჟის აქციებისა და მისი სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- 6.7.9. ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- 6.7.10. ბირჟის ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება ბირჟის აქტივების 10%-ს, უკანასკნელი აუდიტირებული წლიური ბალანსის მიხედვით;
- 6.7.11. ბირჟის შვილობილი საწარმოების მოგების განაწილების თაობაზე ბირჟის – როგორც დომინანტი აქციონერის – პოზიციის შემუშავება;
- 6.7.12. იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

6.8. თავის უფლებამოსილებათა უკეთ განხორციელებისათვის ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია მისი შემადგენლობიდან შექმნას კომისიები.

6.9. სამეთვალყურეო საბჭოს კომისია შეიმუშავებს თავის დებულებას და ირჩევს თავმჯდომარეს.

6.10. სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს კომისიების დებულებებს და მათ თავმჯდომარეებს.

6.11. სამეთვალყურეო საბჭოს კომისიას ევალება მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს მისი კურირების სფეროში არსებულ საკითხებს, ჩაატაროს კონსულტაციები ბირჟის დირექტორებთან და დროულად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამის საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები.

6.12. კომისიას არა აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება ან მისცეს რაიმე დავალება ბირჟის დირექციას.

6.13. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შეუძლია იყოს რამოდენიმე კომისიის წევრი ერთდროულად.

6.14. სამეთვალყურეო საბჭოს არ შეიძლება გადაეცეს დირექტორების ფუნქციები.

VII. დირექტორები

7.1. ბირჟის ხელმძღვანელობა ევალებათ მის გენერალურ დირექტორს და დირექტორებს.

7.2. ბირჟის გენერალური დირექტორი:

7.2.1. არის პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების განხორციელებასა და შესრულებაზე;

7.2.2. არის ბირჟის ოფიციალური წარმომადგენელი მის ყველა ურთიერთობებში სახელმწიფოსთან, სხვა ორგანიზაციებთან თუ პირებთან;

7.2.3. ნიშნავს ბირჟის თანამშრომლებს, ექსპერტებსა თუ მრჩეველებს და განსაზღვრავს მათ მოვალეობებს, სამუშაო პირობებსა და ვადებს;

7.2.4. განსაზღვრავს საწევრო შენატანებისა და სხვა გადასახდელების გადახდის წესს;

7.2.5. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს სავაჭრო და საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანასა და სისტემიდან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციების გადასახდელს;

7.2.6. იწვევს ბირჟის აქციონერთა საერთო კრებას.

7.3. ბირჟის დირექტორები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის წინაშე ამ წესდებისა და ბირჟის შინაგანაწესის შესაბამისად.

7.4. ბირჟის გენერალურ დირექტორს და დირექტორებს ევალებათ, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში:

7.4.1. უზრუნველყონ მოქმედი კანონმდებლობის, ბირჟის წესდების, შინაგანაწესის დაცვა და აღნიშნულთან მიმართებაში ბირჟის წევრების საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შემოწმება;

7.4.2. მოახდინონ უფლებამოსილების დელეგირება ბირჟის სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებზე, საზოგადოების შინაგანაწესის შესაბამისად, იმ პირობით, რომ მხარეს, რომელზეც ამგვარ გადაწყვეტილებას ექნება ზემოქმედება, შეუძლია მოსთხოვოს ბირჟის დირექტორებსა თუ სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების ხელმეორედ განხილვა;

7.4.3. დადგენილი წესით დაუშვან ფასიანი ქაღალდები ბირჟის სავაჭრო სისტემაში, მიიღონ გადაწყვეტილება ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის

დროებით შეჩერების, ასევე ფასიანი ქაღალდების ლისტინგის დროებით შეჩერების შესახებ;

- 7.4.4. დაუშვან წევრები და მათი ბროკერები საფონდო ბირჟაზე საქმიანობისათვის და დროებით ან საერთოდ აუკრძალონ სავაჭრო სისტემაში ვაჭრობა ბირჟის წევრების ბროკერებს;
- 7.4.5. უზრუნველყონ ბირჟის კანონიერი და სწორი საქმიანობა, აგრეთვე ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე კოტირების, ფასების და მასთან დაკავშირებული საბაზრო ინფორმაციის გამოქვეყნება;
- 7.4.6. მიაწოდონ ბირჟის წევრებს ინფორმაცია მათ მიერ დადებული გარიგებების შედეგებზე;
- 7.4.7. გამოიყენონ სანქციები ბირჟის წევრებისა და ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვებული ემიტენტების მიმართ ბირჟის წესების დარღვევის შემთხვევაში, თანახმად კანონმდებლობისა, დადებული ხელშეკრულებებისა და ბირჟის წესებისა;
- 7.4.8. გამოიყენონ სხვა ნებისმიერი უფლება, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონებით, ამ წესდებით, საზოგადოების შინაგანაწესით და ბირჟის წესებით.

7.5. ბირჟის დირექტორები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას საჭიროებისამებრ მათი კომპეტენციის ფარგლებში. ისინი ვალდებული არიან მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობონ გენერალურ დირექტორს.

7.6. ბირჟის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად დირექტორებისა და ბირჟის ყველა თანამშრომლისათვის. მას უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს ბირჟის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

7.7. ბირჟის გენერალური დირექტორი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

7.8. დირექტორების, ბირჟის სხვა თანამშრომლების ურთიერთობათა სისტემა განისაზღვრება ბირჟის შინაგანაწესითა და ბირჟის სამსახურების დებულებებით.

VIII. წევრები

8.1. ბირჟის წევრობა, მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი და პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით ფასიანი ქაღალდების შესახებ, ამ წესდებით, დებულებით საქართველოს საფონდო ბირჟის წევრების შესახებ და ბირჟის სხვა წესებით.

8.2. ბირჟის წევრები შეიძლება იყვნენ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტები (მათ შორის კანონით გათვალისწინებული უცხოური ფინანსური ინსტიტუტები).

8.3. წევრებს გააჩნიათ უფლება დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღონ ბირჟის მიერ ორგანიზებულ საფონდო ვაჭრობებში და ისარგებლონ ბირჟის სამსახურების მომსახურებით.

8.4. ბირჟაზე არ იქნება მიღებული წევრებთან დაკავშირებული არც ერთი წესი ან არ იქნება შეტანილი ცვლილება ამ წესებში მანამ, სანამ წევრები მიღებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე არ გაეცნობიან მათ, არ განიხილავენ და მიღებამდე ერთი კვირით ადრე არ წარმოადგენენ შენიშვნებს, თუ ასეთები წარმოიშვება.

8.5. წევრთა ძირითადი მოვალეობებია:

8.5.1. დაიცვან ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის და ბირჟის წესების მოთხოვნები, აგრეთვე შეასრულონ ბირჟის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებები;

8.5.2. დაიცვან ტექნიკური, ტექნოლოგიური და კომერციული ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნებამაც ზიანი შეიძლება მიაყენოს ბირჟას, მის წევრებსა და მათ კლიენტებს;

8.5.3. დროულად გადაიხადონ ბირჟის მიერ დაწესებული საწევრო, საკომისიო შენატანები და სხვა გადასახდელები;

8.5.4. თავისი ქმედებებით ან/და განცხადებებით არ მიაყენონ ბირჟას ზიანი, არ შელახონ მისი ავტორიტეტი და პრესტიჟი;

8.5.5. შესაბამისი მოვლენის დადგომიდან ან გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინონ ბირჟის მმართველ ორგანოს მათ ფინანსურ და იურიდიულ სტატუსში მომხდარი ან მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათი ვალდებულებების შესრულებაზე ბირჟისა და მისი წევრების მიმართ;

8.5.6. ჰქონდეთ კანონით გათვალისწინებული სათანადო ლიცენზია;

8.5.7. მისცენ ბირჟას წერილობითი თანხმობა თავისი ჩანაწერების და დავთრების შემოწმებაზე, ნებისმიერი მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენის მიზნით.

8.6. წევრობა (მასთან დაკავშირებულ უფლებებთან ერთად) შეიძლება იქნეს შეწყვეტილი (შესაბამისი უფლებების დაკარგვით) სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და ბირჟის მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

8.7. ბირჟაზე წევრად მიღების წესი და პროცედურა განისაზღვრება დებულებით საქართველოს საფონდო ბირჟის წევრების შესახებ.

IX. მრჩეველთა საბჭო

- 9.1. ბირჟის მრჩეველთა საბჭო არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შეიმუშავებს და აწვდის რეკომანდაციებს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს.
- 9.2. მრჩეველთა საბჭო შეიძლება აირჩეს ბირჟის აქციონერთა საერთო კრების მიერ სახელმწიფო, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სპეციალისტებისაგან.
- 9.3. მრჩეველთა საბჭო შეიმუშავებს თავის დებულებას ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით. დებულებას ამტკიცებს ბირჟის აქციონერთა საერთო კრება.

X. შემოსავლები

- 10.1. ბირჟის შემოსავლები იქმნება:
 - 10.1.1. საწევრო, საკომისიო და სხვა შენატანებისგან და გადასახდელებისაგან;
 - 10.1.2. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

XI. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- 11.1. ბირჟის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს წინასწარი თანხმობით.
- 11.2. საფონდო ბირჟის საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესახებ ბირჟა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს.
- 11.3. ბირჟისათვის საბირჟო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში დგება საკითხი მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.
- 11.4. ბირჟის რეორგანიზაციას და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.